ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და
საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის
სხდომის ოქმი №5

22 დეკემბერი 2025 წელი 14:00 საათი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი, გურამ ნიკოლაშვილი,
გიორგი დოხტურიშვილი, ნიკოლოზ ჭუჭულაშვილი
ბექა გელენავა, ლევან არველაძე,
კახა ბერაძე, გიორგი ქარდავა

ჩატარდა გაერთიანებული სხდომა საკრებულოს 10 კომისიასთან ერთად.

სხდომას თავმჯდომარეობდნენ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე და ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე

კომისიას თავმჯდომარეობდა ეკონომიკური განვითარების , საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ცინცაძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე:

ქ,თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე და მოადგილე ლევან მიქავა

კომისიის თავმჯდომარე, ავთანდილ ცინცაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიას წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ (#12-032534442-03 10.12.2025)

1. მოისმინეს:

ქ,თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ საკრებულოს დეპუტატებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 2 193 388,7 ათასი ლარით, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 983 178,0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 219 823,3 ათასი ლარით, ხოლო 2026 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (2 082 482,2 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 110 906,5 ათასი ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის“ მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 1 დეკემბერს მიღებული წერილის (N04-03/84793) გათვალისწინებით, რომლის თანახმად გადასახადების ჯამური მოცულობა იზრდება 5 138,6 ათასი ლარით (დამატებული ღირებულების გადასახადი), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით დამატებით გამოეყოფა 50 000,0 ათასი ლარი, პერსონალური ასისტენტის მომსახურებისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა 2 767,9 ათასი ლარით, ხოლო სხვა შემოსავლების ნაწილში მისაღები შემოსავლები იზრდება - 53 000,0 ათასი ლარის ოდენობით. გაზრდილი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება - 696 339,7 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 305 931,3 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 314 760,6 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079,5 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 62 491,3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 182 384,4 ათასი ლარი; განათლება - 303 331,6 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 50 558,8 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 13 196,7 ათასი ლარი; ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 258 546,9 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები დაფინანსდება 2 709,5 ათასი ლარით.

ბიზნესის სტიმულირება (კოდი : 04 01) - დაფინანსდება 1 583,5 ათასი ლარით;

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: ქ. თბილისში დარეგისტრირებული მცირე მეწარმეების ხელშეწყობის და მათი წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით გამოფენა-გაყიდვა "თბილისური ბაზარი"-ს მოწყობა (მ. შ. დააგემოვნე თბილისის ქუჩებში) - 660 000 ლარით;

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმი - 393 500 ლარით;

მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტი - 500 000 ლარით;

ინოვაციური პროექტების, იდეების, ახალი ტექოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა - 30 000 ლარით;

თბილისის განვითარების კვლევები,სტრატეგიები და პროექტები (კოდი: 04 03) - დაფინანსდება 326,0 ათასი ლარით;

თბილისის შესახებ ბეჭდური საპრომოციო მასალების დაბეჭდვა - 30 000 ლარი;
თბილისის საიმიჯო მასალების დამზადება (ჩანთები, ბლოკნოტები და სხვა) – 20 000 ლარი;
თბილისის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - 276 000 ლარი, მათ შორის:
ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით შეხვედრების ორგანიზება - 10 000 ლარი;
უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ კვლევა - 10 000 ლარით;
ეკონომიკური განვითარების კვლევა - 256,0 ათასი ლარით;

თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი: 04 04) - 130,0 ათასი ლარით;

საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა/ორგანიზება - თბილისის პრომოუშენი - 130 000 ლარი;

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი : 04 08) – 480,0 ათასი ლარით;

მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის (მანიშნებლები, საკემპიმგე ადგილები, მარშუტების მარკირება და სხვა) – 225 000 ლარი;
ტურიზმის სექტორის ბეჭდური და ციფრული გამოცემების ჟურნალისტების, ბლოგერების და ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლების თბილისის ტურისტული პოტენციალის
შესასწავლად მოწვევა (ინფო-ტურები), მათი ვიზიტების ორგანიზება და თბილისის ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად შესაბამის გამოცემებში ინფორმაციის განთავსება (მოიცავს განთავსების ხარჯებს, ავიაბილეთებს, კვებას, გიდებს, ტრანსპორტირებას) – 89 000 ლარი;
სხვადასხვა ქვეყნის გამყვან ტურიზმზე ორიენტირებული კომპანიების თბილისის სექტორულ ასოციაციებში და guide book-ებში თბილისის გაწევრიანება - 6 000 ლარი;
ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის უნარ-ჩვევების და სერვისის გასაუმჯობესებლად თემატური სემინარებისა და ვორქშოფების ორგანიზება - 40 000 ლარი;
ადგილობრივი თემატური ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება, მათ შორის შეხვედრების ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან - 50 000 ლარი;
საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და ორგანიზება/თანაორგანიზება - 70 000 ლარი;

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი: 04 09) – 190,0 ათასი ლარით;

ადგილობრივი და საერთაშორისო საინვესტიციო ბიზნეს ფორუმის ორგანიზება/ თანაორგანიზება და მონაწილეობის მიღება - 75 000 ლარი;

შეხვედრები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, ეკონომიკური განვითარების სამსახურის დაგეგმილი პროექტების გაცნობა/პრეზენტაცია ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორებისთვის – 15000 ლარი;

პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება და საინფორმაციო კამპანიის დაფინანსდება - 100000 ლარით;

დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტის წარდგენის შემდეგ გაიოზ თალაკვაძემ საკრებულოს წევრების შეკითხვებს უპასუხა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ საკითხი შეაფასა დადებითად და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გასატანად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის

და საერთაშორისო ურთიერთობების

კომისიის თავმჯდომარე: ავთანდილ ცინცაძე